მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული
ცენტრი

ურთიერთთანამშრომლობის
მემორანდუმი

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიასა

და

სსიპ მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების
ეროვნულ ცენტრს

ფორის

ქ. გორი 13 12 2013 წელი

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიასა და სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს შორის

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

ერთი მხრივ სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აცადემია (შემდგომში – აკადემია) და მეორე მხრივ სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში - ცენტრი), ამ მემორანდუმის გაფორმებით გამოხატავენ ურთიერთთანამშრომლობის სურვილს და თანხმდებიან ითანამშრომლონ თანასწორუფლებიანობის პრინციპისა და ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებით.

მუხლი 2. მიზანი

აკადემიასა და ცენტრს შორის მემორანდუმის გაფორმების მიზანია ორმხრივი შემოთავაზებების ფარგლებში ადმინისტრაციის თანამშრომელთა და პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

მემორანდუმის მიზნებიდან გამომდინარე ურთიერთთანამშრომლობით მხარეები უფლებამოსილნი არიან:

ა) ორგანიზება გაუწიონ ერთობლივ ლექცია-სემინარების ჩატარებას;

ბ) განახორციელონ მოკლევადიანი პროფესიული განვითარების პროგრამები;

გ) ხელი შეუწყონ აკადემიის პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას;

დ) ხელი შეუწყონ აკადემიისა და ცენტრის ადმინისტრაციების თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას;

დ) ითანამშრომლონ ბიბლიოთეკის საკითხებთან დაკავშირებით: წიგნთგაცვლა და ბიბლიოთეკათშორისი აბონენტით სარგებლობა;

მუხლი 4. პასუხისმგებლობა

ეს მემორანდუმი დაფუძნებულია კეთილ ნებაზე, მას არ აქვს იურიდიულად სავალდებულო ხასიათი და არ ითვალისწინებს რაიმე ფინანსურ ვალდებულებას მხარეთა ურთიერთთანამშრომლობის პროცესში.

მუხლი 5. გარდამავალი დებულებები

1. ცალკეული ღონისძიებების ჩატარება და სხვა სახის ერთობლივი მოქმედების განხორციელების რეგულირება მოხდება მხარეებს შორის შემდგომი მოლაპარაკების შესაბამისად ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე;

2. ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოითხოვოს მემორანდუმის გაუქმება მეორე მხარისთვის 30 (ოცდაათი) დღით ადრე, წერილობითი შეთანხმების საფუძველზე;

3. ამ მემორანდუმის გაუქმების შემდეგ მხარეებმა მათი შესაძლებლობის ფარგლებში უნდა განახორციელონ ყველა აუცილებელი ღონისძიება მემორანდუმის ფარგლებში უკვე დაქწყებული პროექტების დასასრულებლად;

4. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ძალაშია ორი წლის განმავლობაში, მისი ხელმოწერის დღიდან. აღნიშნული მემორანდუმის ვადა შესაძლოა გაგრძელდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

ზ. აგლაძე	გ. მამულაშვილი
სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორი	**სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი**